ივლისი, აგვისტო, სექტემბერი

#3

2017

სიახლეები

პარტნიორობა

მედია ჩვენზე

საინფორმაციო ბიულეტინი

სიახლეები

ასოციაცია ჰერა XXI-მა შექმნა ონლაინ პლატფორმა, სადაც განთავსებულია საგანმანათლებლო კურსები ოჯახის ექიმებისთვის, სკოლის ექიმებისთვის, ზოგადი პრაქტიკის ექთნებისთვის, მასწავლებლებისთვის თანასწორ-განმანათლებლებისთვის

ასოციაცია ჰერა XXI-მა შექმნა ელექტრონული დისტანციური სწავლებისთვის ვებ.გვერდი: EHERA.GE, რომელიც არის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლების ონლაინ სახელმძღვანელო.

სკოლის ექიმებს, ოჯახის ექიმებს, მასწავლებლებს, არაფორმალური განათლების მუშაკებს და ახალგაზრდებს პირველად ეძლევათ შესაძლებლობა, რომ უწყვეტად გაიარონ დისტანციური სასწავლო კურსი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე, რათა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს ის ცოდნა, რომელიც აუცილებელია მოზარდების და ახალგაზრდების ჯანსაღი განვითარებისთვის.

სასწავლო პროგრამებია:

★ელექტრონული კურსი სკოლის ექიმებისთვის - „მოზარდთა რეპროდუქციული განვითარება და ჯანმრთელობა“

★დისტანციური სწავლების მოკლე კურსი ოჯახის ექიმებისთვის, ზოგადი პრაქტიკის ექთნებისათვის- “რეპროდუქციული ჯანმრთელობის გავრცელებული პრობლემების მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში“

★ელექტრონული სასწავლო კურსი მასწავლებლების, არაფორმალური განათლების მუშაკების და ახალგაზრდებისთვის- „ყველაფერი ერთ-სასწავლო კურსში“

პროგრამა არის უფასო, შემუშავებულია დარგის ექსპერტების მიერ, აკრედიტებულია და გაიცემა სერთიფიკატი.

კურსი 2017 წლის 1 ოქტომბრიდან უკვე ხელმისაწვდომია.

ასოციაცია ჰერა XXI-ს ახალგაზრდული ჯგუფი განახლებული სტრატეგიით და შემადგენლობით იწყებს მუშაობას

ასოციაცია ჰერა XXI-ს ახალგაზრდული ჯგუფი განახლებული შემადგენლობით და განახლებული სტრატეგიით აგრძელებს მუშაობას სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისთვის. ახალგაზრდული ჯგუფის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას, ახალგაზრდების სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთლობის და უფლებების საკითხების წინ წამოწევას, რათა გაძლიერდეს ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების და იმპლემენტაციის პროცესში, როგორც ორგანიზაციის ისე სახელმწიფო დონეზე.

პროგრამის ფარგლებში შერჩეული აქტიური ახალგაზრდები ჩაერთვებიან ასოციაციის საქმიანობაში, სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო-საგანმანათლებლო თუ გასართობ-შემეცნებითი აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

ასოციაცია ჰერა XXI-ის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის მეგობრული გარემოს შექმნა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა ორგანიზაციულ საქმიანობაში. ახალგაზრდული ჯგუფი აერთიანებს 8 სხვადასხვა გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე გოგონას თბილისში მოქმედი უნივერსიტეტებიდან.

ორგანიზაციამ განაახლა მდგრადი-განვითარების სტრატეგია და რესურსმობილიზაციის გეგმა

21-23 ივლისს, ქალაქ ბორჯომში გაიმართა შიდაორგანიზაციული ტრენინგი ბორდის, შტატის და მოხალისეების ჩართულობით.

ტრენინგი მიზნად ისახავდა ასოციაციის მდგრადი განვითარების სტრატეგიის განახლებას.

მონაწილეებმა შეხვედრაზე განიხილეს ასოციაციის არსებული სტრატეგია, მოხალისეები გაეცნენ ორგანიზაციის მიმდინარე პროექტებს და სამუშაო მიმართულებებს. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა სამუშაო ჯგუფებში გამოკვეთეს ასოციაციის პრიორიტეტული მიმართულებები, არსებული რესურსები და შესაძლებლობები და შეიმუშავეს ორგანიზაციის 2017-2018 წლების რესურსების მობილიზაციის გეგმა.

ადგილობრივი ხელისუფლების და გენდერული საბჭოების გაძლიერება სრჯუ-საკითხებზე

შეხვედრები აჭარისა და სამეგრელოს რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან

28 ივლისს, ქ. ბათუმში, ასოციაცია 'ჰერა XXI-ს' ორგანიზებითა და მთავრობის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე "გენდერული საბჭოების გაძლიერება რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე".

ტრენინგს ესწრებოდნენ აჭარისა და სამეგრელოს მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლები, საკრებულოს წევრები, გამგეობის თანამშრომლები და აჭარის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები.

მონაწილეებმა ტრენინგზე განიხილეს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, როგორც გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი სტრატეგია და ამ სტრატეგიის ინტეგრირების გზები ადგილობრივი ხელისუფლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმებში. მიმოიხილეს სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით და მიღწევები. იმსჯელეს სამომავლო რეკომენდაციებზე.

ჩვენი მიზანია ყველა ქალს ჰქონდეს თავისუფალი, ინფორმირებული არჩევანის შესაძლერბლობა და ხელი მიუწვდებოდეს რეპროდუქციული ჯანმრთელობის მაღალხარისხიან სერვისებზე ჯანმრთელი, განათლებული, რეალიზებული ქალის როლი კი უმნიშვნელოვანესია ჯანსაღი, გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

12 აგვისტო ახალგაზრდების საერთაშორისო დღეა

12 აგვისტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით 1999 წლიდან აღინიშნება და ყოველ წელს სხვადასხვა სლოგანის ქვეშ აერთიანებს მილიონობით ახალგაზრდას მთელი მსოფლიოდან. 2017 წლის მესიჯია- „ახალგაზრდები მშვიდობისათვის“. წლევანდელი ღონისძიებები ფოკუსირებულია ახალგაზრდების წვლილზე კონფლიქტების პრევენციასა და მშვიდობის მშენებლობაში. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ასოციაცია "ჰერა XXI"-მა გამოაცხადა ახალგაზრდული იდეების კონკურსი, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებს და ახალგაზრდულ საინიციატივო ჯგუფებს დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა მიეცათ. გამარჯვებულმა ახალგაზრდებმა 11, 12 და 13 აგვისტოს ოზურგეთში, ხულოში, ბათუმსა და თბილისში საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიები და პრომო აქციები ჩაატარეს. ჩვენმა მოხალისეებმა და აქტივისტებმა ახალგაზრდებს მიულოცეს აღნიშნული დღე, მიაწოდეს ინფორმაცია საკუთარი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ და ესაუბრნენ ახალგაზრდების როლზე მშვიდობის მშენებლობაში.



მშვიდობის კორპუსსა და ასოციაცია ჰერა XXI-ს ერთობლივად ჩატარებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიები

SELF ბანაკი

2017 წლის აგვისტოში ასოციაცია ჰერა XXI-ის თანასწორ-განმანათლებლები ჩართულნი იყვნენ ჩვენი ორგანიზაციისა და მშვიდობის კორპუსის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ “SELF” ბანაკებში გამართულ ღონისძიებებში. ასოციაციის მოხალისეებმა, როგორც ლიდერებმა, ჩაატარეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიები ბანაკის მონაწილე გოგონებისთვის. ესაუბრნენ და ინფორმაცია მიაწოდეს ისეთ თემებზე, როგორებიცაა გარდატეხის ასაკი და ადამიანის რეპროდუქციული სისტემა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ნაადრევი ქორწინება, სქესი და გენდერი, ჯანსაღი ცხოვრების წესი და ა.შ.

გარდა ამისა, ასოციაციის თანასწორ-განმანათლებლებმა მონაწილეებს გააცნეს ორგანიზაციაში მოქმედი ახალგაზრდულ-მეგობრულ სერვისებსი, ესაუბრნენ მოხალისეობის მნიშვნელობაზე და “ჰერა XXI”-ში მოხალისეობის შესაძლებლობებზე.

"SELF" ბანაკი მიზნად ისახავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ახალგაზრდა გოგონების გაძლიერებას, მათ ინფორმირებას ფიზიკური და ემოციური ჯანმრთელობის, სქესობრივი განათლებისა და რეპროდუქციული უფლებების შესახებ.

პროექტის ფარგლებში გაიმართა ორი საზაფხულო ბანაკი SELF West (10-15 აგვისტო, ურეკი) და SELF East (18-22 აგვისტო, რუსთავი). ბანაკებში მონაწილეობა მიიღო 13-17 წლის 40-ზე მეტმა გოგონამ მთელი საქართველოს მასშტაბით.

ბანაკი GLOW

18 აგვისტოს, ასოციაცია ჰერა XXI-ს თანამშრომლებმა მშვიდობის კორპუსის მიწვევით ჩაატარეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესია ბანაკი GLOW-ს მონაწილეებთან. ღონისძიებას ბანაკის მონაწილე 50 გოგონა ესწრებოდა.

შეხვედრაზე ასოციაცის წარმომადგენლებმა ისაუბრეს გოგონების გარდატეხის პერიოდში მიმდინარე ცვლილებებსა და ჯანსაღი ცხოვრების წესზე, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე, ასევე, მოხალისეობის მნიშვნელობაზე. ბანაკის მონაწილე გოგონები გაეცნენ 'ჰერა XXI'-ს ახალგაზრდულ მეგობრულ სერვისებს და ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს ახალგაზრდებისთვის მის მნიშვნელობაზე.

საქართველოს პარლამენტში, ევროპარლამენტის და ასოციაცია ჰერა XXI-ს ინიციატივით გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით-"კონტრაცეფციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის"

27 სექტმებერს შედგა ევროპის საპარლამენტო ფორუმის შეხვედრა საქართველოს პარლამენტში.
ღონისძიება გაიმართა ევროპის საპარლამენტო ფორუმის (EPF) და ასოციაცია ჰერა XXI-ს ინიციატივით. შეხვედრის მიზანი იყო, მოხდეს ახალი თანამეროვე კონტრაცეფციის მეთოდების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, მოსახლეობის, მათი ოჯახების გაძლიერებისა და ცხოვრების უკეთ დაგეგმვისთვის.
აღსანიშნავია, რომ 2016-2017 წელს განხორციელდა ევროპის 45 ქვეყნის შეფასება, რის საფუძველზეც შემუშავდა ევროპის კონტრაცეფციის ატლასი, რომელიც წარმოადგენს გზამკვლევს ევროპის ქვეყნებისთვის თუ რამდენად ხელმისაწვდომია კონტრაცეფციის თანამდეროვე მეთოდები მოსახლეობისთვის.

აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებს შორის, საქართველოს კონტრაცეფციის გამოყენების მხრივ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ აბორტის რაოდენობა საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა, მაინც ორჯერ აღემატება ევროპის საშუალო მაჩვენებელს და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის პირველ ადგილს იკავებს.

საერთაშორისო პარტნიორული შეხვედრა პროექტ "ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლებისთვის საქართველოში"-ს ფარგლებში

28 სექტემბერს ასოციაცია „ჰერა XXI“ -ის ინიციატივით თბილისი მერიოტში გაიმართა საერთაშორისო პარტნიორული შეხვედრა ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლების საკითხებზე,

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სქესობრივი განათლების მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის, საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ასოციაცია ჰერა XXI-ის საერთაშორისო პარტნიორებმა დანიის ოჯახის დაგეგმვის ფედერაციამ და უკრაინის ქალთა ჯანმრთელობის ფონდმა,

ღონისძიებას ესწრებოდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ახალგაზრდა აქტივისტები.

შეხვედრა შედგა პროექტის, „პარტნიორობის განვითარება ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლებისთვის საქართველოში“-ის ფარგლებში, რომელსაც ასოციაცია ”ჰერა-XXI” 2017 წლიდან ახორციელებს.

გადაცემა ალტერნატიული აზრი

გადაცემა ალტერნატიული აზრი აფხაზეთის ხმაზე ყოველ შაბათს 18:00-ზე მოგაწვდით კვალიფიციურ და სანდო ინფორმაციას თქვენი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ!

ასევე შეგიძლიათ უყუროთ ყოველ შაბათს "ალტერნატიული აზრი"-ს FACEBOOK- ვერდზე: **https://www.facebook.com/ალტერნატიული-აზრი**

ივლისი, აგვისტო, სექტემბერი

#3

2017

საინფორმაციო ბიულეტენი

მომზადებულია ასოციაცია "ჰერა XXI"-ს მიერ

ეწვიეთ ჩვენს ვებ.გვერდს *HERA-YOUTH.GE*

დაგვიმეგობრდით, სოციალური ქსელ FACEBOOK-ზე (AssociationHeraXXI) და გაიგეთ მეტი "ჰერა XXI"-ს შესახებ ყოველდღიურ რეჟიმში